მინდორზეა: ჩემპიონი და ექს-ჩემპიონი

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 14 ივნისი.

“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:1 (1:0).

“ტორპედო”: შაპოვალენკო, ანდრეიუკი, შუსტიკოვი, მარუშკო, სარა??, ლენიოვი, ბრედნევი, მიხაილოვი (შალიმოვი), სტრელცოვი, შჩერბაკოვი, სერგეევი.

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი (მაისურაძე), ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები – 2:2.

ანგარიში, რომელიც სამსაჯო ?? იწერება, საბოლოოა. 1:1. ასეთი იყო 14 ივნისის მატჩის საბოლოო შედეგი, მაგრამ ოქმის ოფიციალური კონცეფციის გარდა არის კიდევ სხვა მასალები, არის თვით მატჩის პერიოდები, რომლებსაც სულ სხვა მხარე?? ?ლიათ წარმოგვიდგინონ თამაშის ?ლობა და ძალთა შეფარდება.

მას შემდეგ, რაც თბილისელებმა ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა და მესხმა ტექნიკურად შესანიშნავად შესრულებული დარტყმა ძელს მოახვედრა, “ტორპედომ” სრულიად ელემენტარულად გამოიყენა დინამოელთა მიერ მინდვრის შუაგულში დაშვებული შეცდომა და სტრელცოვმა მე-16 წუთზე გახსნა ანგარიში – 1:0.

მართალი გითხრათ, ჩვენ, ტრიბუნებზე მსხდომთ გვგონია, რომ ამ გოლს მოყვებოდა დინამოელთა დაცვის არევა, ახალი შეცდომები, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თამაში ძველებურ რიტმში გრძელდებოდა და 30-ე წუთზე დათუნაშვილს საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა მიეცა, რომელიც მხოლოდ მისი აჩქარების მიზეზით არ იქნა განაღდებული.

მეორე ტაიმი თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს. მათ დიდხანს ეპყრათ ხელთ თამაშის სადავეები და საწადელს გუნდმა მაინც მიაღწია. 83-ე წუთზე ბარქაიამ თავური დარტყმით დაამთავრა კომბინაცია და გაათანაბრა ანგარიში – 1:1. სწორედ ამ პერიოდში ჰქონდათ სტუმრებს საგრძნობი უპირატესობა, მაგრამ ისინი დასჯერდნენ მხოლოდ ფრეს და იმ ანგარიშს, რომელიც საბოლოოდ იქნა ფიქსირებული მატჩის ოქმში.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 15 ივნისი, 1966 წ.